ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 1,250,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 75,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 250,000 მან. ნონპარელი
4 „ 200,000 „
საგზლოვანის განცხადება—
1 გვ. 1,000,000 მან.
4 „ 2,000,000 „

№ 535 სამშაბათი, აგვისტის 31 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 75,000

ახალი ფრე

(ყოფილი კრუფოკი) კირკის ქუჩა № 3 ვერის ხიდთან.

სამშაბათს 1 აგვისტოს ქართული დრამის კოლექტივის მიერ

წარმოდგენილი იქნება მეორედ მხიარული კომედია

ნათლული

3 მოქმ. გენკენისა. ფრანგულით თარგმნილი ი. ბარველის მიერ.

მონაწილეობენ: ანკარა, სიბილა, ნინონი, ადამიძე, ბარველი, გუგუშვილი, გოძიაშვილი, და სხვანი.

რეჟისორი ი. ბარველ'.

ადგილების ფასი: 200.000 მ. 1 მილიონამდე. დასაწყისი 9 ნახ. საათზე. ღამის 12 საათის შემდეგ ბალში

„კალეიდოსკოპი“ კაბარე

ლოტო, ნარდი, ბილიარდი, პტი-შვო; უკრავს სიმებიანი და სამხედრო ორკესტრი.

პირველხარისხოვანი სამზარეულო ცნობილ მზარეულის ს. ხმელიძის ხელმძღვანელობით. ფასები ზომიერია.

გაზეთი „ტრიბუნა“

აგვისტოს 1-დან ეღირება:

პროფკავშირთა წევრებისათვის თვიურად	1.500.000 მ.
დაწესებულებათა და კერძო პირთათვის	2 500.000 „
ცალკე ნომერი	100.000 „

გადაუწყვეტელი საკითხი.

საკონტრიბუციო საკითხი ძირითადი საკითხია თანამედროვე პოლიტიკური ვითარების. ამ საკითხის ირგვლივ არა ერთი თათბირი იქნა მოწვეული და არა ერთი ზომა გამონახული, მაგრამ დღემდე მაინც იგი გაუხსნელ კვანძს წარმოადგენს.

ევროპის სახელმწიფოთა ცხოვრება ანორმალური, ავადმყოფური და მოუსვენარია. ზრდა მილიტარულ ძალების, გართულება ეკონომიური ყოფა-ცხოვრების, შეურიგებლობა სახელმწიფოთა ინტერესების, გადაუჭრელობა უმთავრესი საკითხებისა ქმნის ანარქიულ სურათს.

მკითხველებმა იციან, რომ სარეპარაციო საკითხების შესახებ პროექტის შედგენა იკისრა ინგლისმა. ინგლისის პოლიტიკის შესახებ ამ სფეროში ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი. დღეს ამ პროექტის ნიადაგზე არის გამართული მსჯელობა.

ლონდონი, პარიზი და ბრიუსელი მსჯელობს ბერლინის საკითხის შესახებ.

როგორც ლოიდ ჯორჯი, ისე ბონარ ლოუც ფიქრობს, რომ ყოვლად შეუძლებელია პუანკარესთან მუშაობა. პირველი მათგანი პუანკარეს უკანასკნელ სიტყვას შეუფერებელ და პროვოკაციულ ცდას უწოდებს.

როგორც დეპეშები გადმოგვცემს საფრანგეთ-ბელგიის პასუხი შაბათს გადაეცემოდა ინგლისის მთავრობას, რომ ბალდვინს საშუალება მისცემოდა ორშაბათს საკონტრიბუციო საკითხის განხილვისა თემთა პალატაში ესარგებლა მათი პასუხით.

გაზეთები აღნიშნავენ, რომ ბელგიისა და საფრანგეთის თვალსაზრისი ეთანხმებიან ერთმანეთს რურის ოკუპაციის საკითხში, მაგრამ ორივე ერთად წინააღმდეგი არიან ინგლისის თვალსაზრისის.

როგორც ვიცით, პუანკარეს პოლიტიკამ რურის საკითხში დადებით ნაყოფი ვერ გამოიღო საფრანგეთისთვის. ეგრედ წოდებული ნაციონალური ბლოკის გავლენა, რომელსაც რიგრიგობით სათავეში უდგა კლემანსო, ბრიანი და ღღეს კი პუანკარე, ამის გამო საკმაოდ შესუსტდა. ამ მოვლენას ხელს უწყობს ის შეურიგებლობა და უთანხმოება, რომელსაც იწვევს პუანკარეს პოლიტიკა ინგლისის მიმართ.

ეს გარემოება საფრანგეთში იწვევს პოლიტიკური ძალთა ხელ ახლა გადაჯგუფებას და „მემარცხენეთა ბლოკის“ შექმნას, რომელსაც სურს ფართო მასები დაუკავშიროს საფრანგეთის ფინანსიური ბიუროკრატიის პოლიტიკას. ეს „მემარცხენეთა ბლოკი“ ცხადია მუშათა თვალსაზრისით არავითარ „მემარცხენეობას“ არ წარმოადგენს. მისი მიზანი უფრო საარჩევნო ბრძოლაში გამარჯვებაა, რისთვის მას სჭირდება გაცვეთილი ლიბერალური ფრაზეოლოგიის ერთხელ კიდევ გამოქექვა ძველი არქივიდან, რეფორმისტულად გაწყობილი ელემენტების გულის მოსაგებად.

შესძლებს კი დღევანდელი ან ხვალინდელი ბურჟუაზიული საფრანგეთი, ან ყველა ქვეყნები სარეპარაციო საკითხების გადაწყვეტას და მსოფლიო მშვიდობიანობის იდეის რეალ ფაქტად ქცევას? ცხადია ვერ შესძლებს.

საფრანგეთი დღეს თავიდან ფეხებამდე იარაღებში არის ჩამჯდარი. განიარაღებული გერმანეთის მშრომელი ხალხის ნაამაგარით სურს მას აინაზღაუროს მსოფლიო სასაკლაოს მიერ მიყენებული ზარალი. „სამართლიანი რეპარაციის“ განაღდება და ამ განაღდების საშუალებანი „კულტურულ“ საფრანგეთს ავიწყებს საერთაშორისო სამართლის ელემენტარ მოთხოვნებს, რეალურ შესაძლებლობასაც გერმანეთისას გადახდის სფეროში და ინგლისის ინტერესთა დაპირისპირებასაც.

უნდა ვიფიქროთ, რომ ვერც დღევანდელი პროექტი, ინგლისის მიერ შედგენილი, და ვერც ახლო მომავალის პოლიტიკური კომბინაციები ვერ შესცვლის სარეპარაციო საკითხის გადაჭრის შეუძლებლობას.

სარეპარაციო საკითხები გადაიჭრება მაშინ, როდესაც ის საკითხადაც აღარ დაისმის, როდესაც მას სავსებით მოხსნის და გააუქმებს გამარჯვებული მშრომელი ხალხი მანამ კი მსოფლიო ყაჩაღებს შეუძლიათ პროექტების წერა, თათბირების მართვა, ურთიერთ წინააღმდეგობას ჯერ გაუნაღდებელი ხაცარცვის გაყოფისათვის, განიარაღებული ხალხების დაპყრობა და ხოცვა, დავიწყება ყოველგვარი სიმართლისა და სამართლიანობისა.

დღეს მსოფლიოს სოციალ-პოლიტიკური სარბიელი პრობლემათა სამყაროდ არის გადაშლილი. კაპიტალიზმის განვითარების თანამედროვე ეტაპმა მწვავედ დააყენა სოციალ-პოლიტიკური პრობლემანი. აქ პრობლემებს თავს დაპატრიალებს ბურჟუაზია, მაგრამ ვერ სწყვეტს მას. „მესამე წოდება“ უძლურია პროგრესიულ მისიისათვის. „მეოთხე წოდებამ“ უნდა გადაწყვიტოს დღეს გადაუწყვეტლად დარჩენილი საკითხები.

საინსტრუქტორო მუშაობის რეორგანიზაციისათვის

VII

ახლა გადავიდეთ მუშაობის მეორე მხარეზე—რაიონულ მუშაობაზე და მისი ცენტრთან დაკავშირებაზე. აქ ჩვენ, როგორც ზევით გვქონდა შემთხვევა აგვნიშნა, ვაყენებთ ცენტრალიზაციის პრინციპს.

ცენტრალიზაცია ჩვენ გვესმის არა მარტო ისე, თითქოს ცენტრი შეასრულებს ინსტრუქტორების მუშაობას საორგანიზაციო და საინსტრუქტორო ფუნქციებს; ასეთ ცენტრალიზაციაზე, თუ მუშაობის იმ დეფექტებს გამოვასწორებთ, რომელზედაც შარშან კავშირში გვქონდა ლაპარაკი, საინსტრუქტორო მუშაობა არსებითათ აქამდისაც იყო აგებული. ჩვენი წარმოდგენით ცენტრალიზაციის ცნება, ზემოთ აღნიშნულ განმარტების გარდა შეიცავს შემდეგ მომენტს: მხოლოდ ცენტრსა ყავს ინსტრუქტორები. ყველა სარაიონო კომისიების ინსტრუქტორები გადირიცებიან ცენტრის ინსტრუქტორებათ და რაიონში მუშაობას აწარმოებენ, როგორც ცენტრის ინსტრუქტორები.

ცენტრალიზაციას, ისე, როგორც ის ჩვენ გვესმის, აქვს, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები; საჭიროა მათი გათვალისწინება, რათა ნათელყოთ ის მოსაზრებები, რომლითაც ჩვენ ვხელმძღვანელობთ, როგორც ცენტრალიზაციის ასეთ ფორმას ვიცავთ.

დავიწყოთ ცენტრალიზაციის ასეთი ფორმის დადებითი მხარეებიდან:

პატარა საქართველოს საზღვრებში (როგორც ამას ადგილი აქვს შვეიცარიაში, დანიაში და სხ.), კოოპერაცია (სამომხმარებლო კოოპერაცია) შეკავშირებული იქნება უშუალოდ ერთ ცენტრში. ეს ცენტრი იქნება მისი საერთო ინტერესების გამომხატველი, მისი საერთო პოლიტიკის გამომტუშავებელი. ასეთ საერთო გამომუშავებულ პოლიტიკას ადგილობრივათ უფრო რაციონალურათ გაატარებს ისეთი საორგანიზაციო—საინსტრუქტორო განყოფილება, რომელიც იქნება ამ საერთო ცენტრის განკარგულებაში. მაშასადამე, ასეთ პირობებში, კუთხურ ინტერესებზე ფიქრი, კუთხურ ინტერესებისათვის შეწირვა საქართველოს კოოპერაციის საერთო ინტერესებისა, როგორც ამას ხშირათ ქონდა და აქვს ადგილი, საკმაოდ შესუსტება, თუ სრულიად არ მოისპობა.

ამას გარდა, ცენტრს აქვს, რაიონზე გაცილებით მეტი, როგორც ორგანიზაციული, ისე მატერიალური საშუალებები. ცენტრს აქვს საშუალება მოიწვიოს ცოდნით აღჭურვილი პირები ხელმძღვანელობის გასაწევათ. ასეთები ცენტრში უფრო წავლენ სამუშევრათ, ვიდრე რაიონში. მაშასადამე, აქ მსურველთა შორის არჩევნების მოსურნის შესაძლებლობაც მეტია.

მაგრამ მარტო მოწვევა როდი კმარა: საჭიროა მოწვეულის ისეთ პირობებში ჩაყენება, რომელიც უზრუნველყოფდეს მას ყოველდღიურ ფიქრზე თუ როგორმე თავი დააღწიოს მატერიალურ გაჭირვებას. საჭიროა მომუშავის მატერიალურად უზრუნველყოფა. ყოველივე ამის საშუალება კი, განსაკუთრებით დღევანდელ პირობებში, მხოლოდ ცენტრს შესწევს.

მეორე მხრით, ცენტრს, ფინანსიურათ ძლიერს, აგრეთვე საშუალება აქვს, რაიონულ ინსტრუქტორების მოწვევის დროსაც, მოახდინოს ერთნაირი არჩევა და უპირატესობა (როგორც მატერიალური, ისე სხ.) მისცეს მათ, ვინც ამის ღირი იქნება.

აქაც მარტო მოწვევა როდი კმარა. განუწყვეტელი ზრუნვაა საჭირო იმისათვის, რომ ინსტრუქტორი განვითარების ერთ დონეზე არ დარჩეს; ის ყოველთვის ახალ-ახალი ცოდნებით უნდა იარაღდებოდეს. ამ ამოცანის შესრულებას, უფრო რაციონალურათ, შესძლებს ცენტრი, დიდი რესურსების შექნით, სათანადო კურსების-ყრილობების თუ სხვა საშუალებებით. ასეთია ის საერთო დადებითი მხარეები, რომელსაც ჩვენ ვხელმძღვანელობდით.

ცენტრალიზაციის პრინციპის გატარებას აქვს ერთი დიდი უარყოფითი მხარე. რომელსაც შესაფერისი ანგარიში უნდა გაეწიოს: ეს გახლავთ საინსტრუქტორო მუშაობაში („ცოცხალში, შემქმედში“) შაბლონის გამეფების შიში. ის განსაკუთრებით საშიშია ჩვენში, ვინაიდან ჩვენ, ობიექტიური პირობები ხელს არ გვიწყობდა „თავისებური შემოქმედების პერიოდი“ (период самобытного творчества) გაგვეღრმავებია; გამოგვერკვია ჩვენი კოოპერაცია რას მოითხოვს, სხვა ხალხების კოოპერაციის ძლიერება რამ შეადგინა, სხვებს რა აქვთ კარგი, ისეთი, რომლის შეთვისებაც ჩვენს კოოპერაციას შეუძლია და თითონ ჩვენს კოოპერაციას რა აქვს ცოდი, ისეთი, რომლის თავიდან მოშორებაც შესაძლო. ამას ჩვენ მიჩვეული არა ვართ. ჩვენ შაბლონით მუშაობა საშინლად გაგვიადვილდება: მას მიჩვეული ვართ. შაბლონით მუშაობაკი, ყველგან ასე იხსენებოდა და ჩვენშიც სხვანაირათ შეუძლებელია აიხსნას. ჩამორჩენილობის შედეგია. ჩვენი კურთხეული ქვეყანა იმდენათ მოავალფეოვანია (გეოგრაფიულათ, ეკონომიურათ, ეთნოგრაფიულათ და სხ.), რომ თუ სადმე საერთოთ დაუშვებელია შაბლანით მუშაობა, ჩვენში იგი განსაკუთრებით შეუძლებელია.

ყოველ კოოპერატიულ ორგანიზაციას აქვს ინდივიდუალური თავისებურობანი და როცა ამ თავისებურობის ანგარიშის გაწევას მივეჩვევით, მხოლოდ მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენმა კოოპერაციამ საკუთარი ფეხებით დაიწყო სიარული. მაშასადამე, ვიმეორებთ, ასეთი საშიში არსებობას და მისი ყოველგან გამოქლავნება ყოველი კოოპერატორის მოვალეობაა. ცენტრში გამომუშავებული ფორმები იქნება დასაფიქრებელი მასალები და რაიონში ინსტრუქტორი მას გაატარებს ადგილობრივი პირობების მიხედვით, შესაფერისი ვარიაციებით და ცვლილებებით.

როგორი იყო ამ მიმართულებით ჩვენი პრაქტიკა? ცენტრალიზაციის პრინციპი, ისე როგორც სპეციალიზაციის პრინციპი, ინსტიქტიურათ იკაფავდა გზას ჩვენს მუშაობაში. ინსტრუქტორები თავს იყრიდენ ცენტრში და აქედან მიდიოდენ რაიონებში სამუშევრათ. ეს პროცესი სხვადასხვა მიზეზების გამო შეჩერდა. უდიდესი ამ მიზეზთაგანი იყო ის, რომ ჩვენში სრულიად ხელოვნურად, რუსეთის ფორმების მიხედვით დაიწყო სამსაფეხურიანი მშენებლობა. *) აქედან უკვე ლოგიკურათ გამომდინარეობდა, ისე, როგორც რუსეთში, სარაიონო კავშირებს ყოლოდათ თავიანთი საინსტრუქტორო კოლეგიები. ასეც მოხდა, მაგრამ პატარა ქვეყნის მაშტაბით ამ ძალების დაქსაქსვის შედეგები არ შეიძლებოდა ყოფილიყო მიზანშეწონილი და არც გამოდგა.

გავითვალისწინოთ მოკლედ ის შედეგი, რომ მელიც ინსტრუქტორთა სარაიონო კავშირების განკარგულებაში გადარიცხვას მოყვა. ინსტრუქტორების რაიონებში გადარიცხვამ არსებითად გადარიცხულები ჩამოაშორა ცენტრს და მის ხელმძღვანელებს. ჩვენი სარაიონო კავშირების გამგეობების დიდ უმრავლესობას კი არ შესწევდათ სათანადო ცოდნა, რომ გადარიცხულ ინსტრუქტორებისათვის ასეთი ხელმძღვანელობა გაეწიათ. ეს არც საკვირველი იყო, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ცენტრსაც ვერ უხერხებია ამ დიდმნიშვნელოვან აპარატის სათანადოო მოწესრიგება. ამ ღიდ ნაკლს პირველ ხანებში **ნაწილობრივ** მაინც ასწორებდენ საინსტრუქტორო ხშირი ყრილობები.

ჩვენ ვამბობთ **ნაწილობრივ**, რადგანაც მაგიერობის გაწევას, რაგინდ ხშირი ყოფილიყო ეს ყრილობები, მაინც ვერ შესძლებდა. ამ უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში, როდესაც საინსტრუქტო ყრილობები იშვიათად იკრიბებიან, რაიონული ინსტრუქტორები სრულიად თავისნებარათ შეიქნენ მიტოვებული.

ამ გარემოებას კი შედეგათ მოყვა ის, რომ არც ცენტრმა და არც რაიონმა არ იცის, გეგმით მუშაობს ინსტრუქტორები, აკეთებს რამეს, არ აკეთებს, ან და თუ აკეთებს—როგორია მისი მუშაობის შედეგი. ასეთი მდგომარეობის შედეგათ უნდა ჩაითვალოს ის უთანხმოება ინსტრუქტორებსა და გამგეობის წევრთა შორის, რომელსაც ადგილი აქვს ზოგიერთ კავშირებში.

ყოველივე ამას უნდა ბოლო მოეღოს. ჩვენ გადავდივართ ორ საფეხურიან მშენებლობაზე და მის საინსტრუქტორო მუშაობის საფეხურშიაც შესაფერისი ცვლილებებიც უნდა მოყვეს. საინსტრუქტორო აპარატი უნდა იყოს საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის ცენტრის იარაღათ. ის უნდა იყოს ამ ცენტრის გეგმის განმახორციელებელი, მისი პოლიტიკის გამტარებელი. ვინ იქნება ისეთი არ იცოდეს, რომ შეგნებული ცენტრის ინტერესი, იგივე რაიონის ინტერესია. ცენტრი კი ინსტრუქტორებს რაიონებში მუშაობას გაუწევს მიზანშეწონილ ხელმძღვანელობას, კანტროლს და ბოლოს მოუღებს იმ დემორალიზაციას, რომელსაც, ვიმეორებთ აქ-იქ ადგილი ქონდა. ამნაირათ, თუ ერთის მხრით ინსტრუქტორების ემანსიპაცია მოხდება ადგილობრივ გამგეობებიდან (რომელთაც ხშირათ არ იციან თუ რა შეადგენს ინსტრუქტორის ფუნქციას), მეორე მხრით ბოლო მოეღება, პირდაპირ ვიტყვით, იმ ინტრიგებს, რომლის საბაბი აქაიქ ინსტრუქტორები არიან. ამნაირათ დაყენებული მუშაობა იქნება შველა, რომელიც მომავლისათვის შექნის მომუშავეების საჭირო კადრს.

ყველა ამ მოსაზრებების ძალით, ჩვენ ვიცავთ ცენტრალიზაციის პრინციპს და ის მიგვაჩნია ერთ-ერთ ზომად ჩვენი კოოპერაციის ასაღორძინებლათ.

(შემდეგი იქნება)

ალ. ცაგარეიშვილი.

*) იხ. ჩვენი წერილი: „ორ საფეხურიანი თუ სამსაფეხურიანი მშენებლობა საქართველოში“ „კავშირი“ 1921 წ.

პროფორგანიზაციები და „ოზიანისტვენნიკები“

5

(გაგრძელება)

მოსამსახურის დათხოვნა ახალი ამბავი არ არის, მაგრამ მხოზავ ლორიას დათხოვნის საკითხი თვე ნახევარს ირჩიდა.—პროფესიონალური კავშირი უკანონოთ სცნობდა მის დათხოვნას—ადმინისტრაციამ მაინც მოახერხა მისი დათხოვნა.

რომ დიდხანს არ შევჩერდეთ, გადავხედოთ სამედიატორო სასამართლოს შემადგენლობას და გამოტანილ დადგენილებას. რათ სცნობდა კავშირი ამბ. ლორიას დათხოვნას უკანონოთ?

რით აიხსნება ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობის ადმინისტრაციის ასეთი სურვილი?

ადმინისტრაციის მხრივ სამედიატორო სასამართლოში იყო ამბ. ლიტვინოვი, კავშირიდან ძველი პროფესიონალური მუშაკი მუშა აღლაძე, თავმჯდომარეობდა რუსეთის კომ. ახალგ. ამიერ-კავკ. განყ. საგიტაციო პუნქტის გამგე—ამბ. რაბინოვიჩი.

ამათ გარდა კამათში მონაწილეობას ღებულობდენ მულინის ველის გამგე კომუნისტი იასნი და საქ. აღმშენებელთა კავშირის კულტურულ განყოფილების გამგე ამბ. ვეშკლეკიჩი. ლიტვინოვი ამტყუნებდა ლორიას შრომის დისციპლინის დარღვევაში და დასძენდა—„არამც თუ დათხოვნილი იქნას, არამედ დაისაჯოს როგორც საბოტაჟნიკი“-ო. ამბ. აღლაძე აღნიშნავს, რომ უმ. პროფორგანიზაციები ცდილობენ ხელი შეუწყონ სწავლის გაგრძელებას, მოითხოვს ლორიას აღდგენას ძველ თანამდებობაზე.

აღსანიშნავია ამბ. ვაშკლეკიჩის განცხადება, მან აღნიშნა, რომ ადმინისტრაციამ გვერდი აუარა კავშირს, რომ ეს ასე არ ყოფილიყო, ლორიას გაგზავნა შეიძლებოდა პროფ-დისციპლინის ძალით“-ო. სამართლიანად აღნიშნა ამბ. ვაშკლეკიჩმა კონკრეტიულ შემთხვევისათვის ის მოვლენა, რაც ფართე ხასიათს ღებულობს; კავშირის გარეშე, კავშირის დაუკითხავათ მარტო ამ. კავკ. წყალთა მეურნეობის ადმინისტრაცია არ მოქმედებს... განაჩენი, როგორც ზევით ვსთქვით, გამოიტანეს დათხოვნის შესახებ „ვინაიდან მუღანში წაუსვლელობით დაარღვია შრომის დისციპლინა“-ო, აღნიშნულია ოქმში.

„შრომის დისციპლინა“ ჩემის აზრით ის ფარდულია, რომლის იქით იმალება ნამდვილი მიზეზი ადმინისტრატორ ლიტვინოვის ჟინიანობა.

რათ იყო ამბ. ბოღდატიევის დეპეშაში აღნიშნული გამოგზავნეთ ესა ღა ეს ტეხნიკოსები **„ანსხვეთო“**. ეს სიტყვები შემთხვევით დაწერილი არ არის, რასაკვირველია,—დასახელებული ტეხნიკოსებიდან შეიძლება რომელიმე არ ყოფილიყო ტფილისში, ან რომელიმე ვერ შესძლებოდა წასვლა ავადმყოფობის გამო. ასე რომ დასახელებული პირების გაგზავნა და მათ რიცხვში ლორიასი არ იყო დაკანონებული, მის ადგილას შეიძლებოდა სხვაც წასულიყო და ასეთი აღმოჩნდა, რომელიც მიდიოდა. ტეხნიკი შმალცელი ლორიას არ ჩამოუვარდება და მაშასადამე საქმე ფაქტიურად არ ფუჭდებოდა.

ლორიას წაუსვლელობა არ იყო საბოტაჟი და თქმა იმისი, რომ ლორიას მოქმედება შეგნებული ან შეუგნებელი ზიანის მიყენება იყო, საბოტაჟის მნიშვნელობის ვერ გაგებაა ან წინასწარ განზრახული მიზნით ამ აზრის დამახინჯება. აქ უმთავრეს როლს თამაშობდა ამბ. ლიტვინოვის თავმოყვარეობა, ის შეურაცყოფილათ იგრძნობდა თავს, რომ მის მიერ გაცემული ბრძანება კავშირს გაეუქმებია. ამ მიზნით დასჭირდა მას პროფკავშირის მუშაკის აღლაძის წინაშე დაეყენებია იასნი და რაბინოვიჩი ეს კომუნისტური პარტიის არისტოკრატიული ნაწილი.

რა მიზანს მიაღწიეს?..

ლორიას მოუსპეს სწავლის საშუალება.

კავშირს გაუტეხეს სახელი. ამბ ლიტვინოვზე არაფერს ვიტყვით, არ გვიკვირს, რომ ლორიას დათხოვნით ღრმად დაინტერესებულმა ყოველგვარ საშუალებას მიმართა.

ორიოდე სიტყვა ამბ. იასნის და რაბინოვიჩის შესახებ

ამბ. იასნი ლიტვინოვმა მოიყვანა, როგორც მოწამე წყალდიდობისაგან გამოწვეული უბედურების. ამბ. რაბინოვიჩი თავმჯდომარეობდა სამედიატორო სასამართლოს. ეს ორი პიროვნება, საპასუხისმგებლო პოსტზე მდგომი პირები საკითხს უდგებიან „დისციპლინის“ თვალსაზრისით ისევე, როგორც ლიტვინოვი, მათ გამოარკვიეს შეკითხვების საშუალებით რომ სტუდენტ ლორიას არ ჰყავს დედ-მამა, რომ მისი დათხოვა სამსახურიდან, უსპობდა საშუალებას განეგრძო სწავლა დღევანდელ სწავლის პირობებში, მოსპობა ერთად-ერთი საშუალების არის დიდი დანაშაული. ცხადია, რომ ლირიაზე არ იყო ჯულფის რკინის გზის გადარჩენა დამოკიდებული.

და თუ კოდექსის 36 მუხლი ამბობს, რომ „განსაკუთრებულ შემთხვევებში ადმინისტრაციას აქვს უფლება გადაგზავნის ერთი სამსახურიდან მეორეში მოსამსახურე“, განა იგივე მუხლი კოდექსისა ართმევს საშუალებას ადმინისტრაციას გადაგზავნოს ის, ვინც იმავე სარგებლობას მოიტანს (თუ მეტს არა) და ნაკლებ დაზიანდება? ვინ უფრო გაიგებდა „საბოტაჟნიკი“ იყო თუ არა ლორია, ადგილობრივი კომიტეტი და კავშირი რომლებიც წლობით ეცნობიან თავიანთ წევრებს, თუ ამბ. ლიტვინოვი, რომელმაც სულ რაღად სამი თვეა დაწესებულებაში ფეხი შემოდგა? ვინ უფრო დიდი ავტორიტეტი უნდა ყოფილიყო მოსამსახურის საკითხის გადაწყვეტაში ამბ. იასნისა და რაბინოვიჩისათვის, მათი კარგი მეგობარი ლიტვინოვი, თუ მათთვის შეიძლება უცნობი კავშირი?

ამ საკითხის გადაწყვეტაში მეტი სიფრთხილე და წინდახედულობა იყო საჭირო.

(გაგრძელება იქნება)

ს. ჭეიშვილი.

ახალი ამბები

— შრ. სახ. კომისარი ამხ. ლ. დუმბაძე შორაპანში არსებულ მტვირთავთ არტელის რეორგანიზაციასთან დაკავშირებულ საკითხების მოგვარების შემდეგ ჩამოვიდა ტფილისში.

— შრომის სახ. კომ. ამ ჟამად ადგენს 6 თვის მოქმედების ანგარიშს.

— **საფეიქრო.** სიღნაღის მაზრის საადგილმამულო განყოფილებამ უკვე ჩაიბარა ბოდბის მონასტერთან არსებული საფეიქრო, სადაც უკვე დაიწყო მუშაობა.

— **ეკლესიის დაკეტვა.** ქალაქ სიღნაღში დაიხურა მიტინგის მოთხოვნით სომხების ყოფილი ეკლესია „სუპ-კარაპეტი“, რომლის ჯვრის მოხსნას აუარებელი ხალხი ტაშის ცემით შეხვდა.

— **სასადილო უმუშევართათვის.** ბათომში შრომის კომისარიატის რწმუნებულს წინადადება მიეცა რათა მან სასწრაფოდ წარმოადგინოს ხარჯაღრიცხვა ბათომში უმუშევართა სასადილოს მოსაწყობად 300 კაცისათვის.

— **აბრეშუმის პარკი.** ამიერკავ. სახელმწიფო ვაჭრობის მიერ შეძენილია ამიერ-კავკასიაში 7000 ფუთი მშრალი აბრეშუმის პარკი.

— **ტფ. აღმასკომმა დაადგინა,** რათა კომუნალურ განყოფილების კოლეგიის რიცხვში შეყვანილ იქმნეს ამბ. იტრიევი.

— **ტფ. აღმასკომის დადგენილებით** წინადადება მიეცეს წყალსადენის დირექტორს, რათა მან მოავლინოს წარმომადგენელი „იუგოსტალის“ წყალსადენის მილების შესაკვეთად.

— **ჰაეროპლანის ასაგებად.** აღმასკომმა დაადგინა: შესდგეს კომისია მუშათა და გლეხთა ინსპექციის შინაგან საქმეთა კომისარიატის და აღმასკომის კომუნალურ განყოფილების კოლეგიის წარმომადგენლებიდან, რათა მოეწყოს ფულის აკრეფა ხუთი ჰაეროპლანის ასაგებად თანახმათ კომუნალურ განყოფილებების გამგეთა მე-4 სრულიად რუსეთის ყრილობის დადგენილებისა.

— **ტრამვაის შტო** ქალაქის სასაკლაომდე დასრულდება ორი კვირის შემდეგ. ამ ლიანდაგზედ მოწყობილია ჯერ-ჯერობით 1 ვაგონი ხორცის და ყინულის გადასაზიდათ, დანარჩენი 4 ვაგონიც შენდება ტრამვაის სახელოსნოებში.

— **უმუშევართა ფონდი.** სეირნობიდან, რომელიც გაიმართა საბჭოთა მოსამსახურ. კავშირის ღონისძიებათა გასაძლიერებლად, შემოვიდა 700 მილიონი მანეთი, და გადარიცხულ იქმნა კავშირის უმუშევართა ფონდში.

— **რუსეთის გამოფენაზე,** ბათომის საბჭოთა მოსამსახურეთა კავშირმა იშუამდგომლა სეკრეტარიატის წინაშე, რათა მათთვისაც დაეთმოთ ადგილი მოსკოვში, სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე წასასვლელად. სეკრეტარიატმა ძისცა მათ 2 ადგილი.

— **მატყლის დამზადება.** ამიერკავ. სახელმწიფო ვაჭრობის მიერ გაზაფხულის მატყლის შეგროვება უკვე დასრულებულია. დამზადებულია 20.000 ფუთი მატყლი. უმთავრესად თუშურუ 75 პროცენტს. შინაური—15 პროც. და ლეკური 10 პროც. მატყლი შეაქუჩეს უმთავრესად საქართველოში. ტფილისის, ახალციხის, ახალქალაქის და ფასანაურის რაიონებში. თადარიგია აგრეთვე დაჭერილი, რათა შემოდგომის მატყლიც დაამზადონ.

— **ახალი ტარიფი აბანოებზე.** ქალაქის კომუნალურ კოლეგიის დადგენილებით დამტკიცდა შემდეგი ტარიფი აბანოებზედ. 1 აგვისტოდან. აბანო № 3. (ყოფ. სუმბათაშვილის) ნომრები—1.000.000 მილ.—900.000 მ. საერთო—250.000 მ.

— **ტფილისის ბირჟა.** 30 ივლისს სახელმწიფო ბანკის ჩერვონცები 18.950., სტერლინგი ეფექტიკი - 18.350, ჩეკი—16.300., დოლარები ეფექტიკი—3.750, ჩეკი—3.360, ოსმალური ლირა ეფექტიკი—2.770, ჩეკი—2.475, იტალიური ლირა —140, ფრანგული ფრანკი—210.

— **საქონლის ბირჟა.** 30 ივლისს წინადადება, კაუსტიკური შაბი, პურის ხორბალი, ლურსმანი, წუმწუმა „ირაიდა“, ვოლკოვი და ბერეზინისა; საპონი სარეცხის და ხელისა, მანუფაქტურა, ტყავეულობა, ცემენტი ნოვოროსიისა, სახურავის თუნუქი, ქაღალდი და კარდონი, თვლების რკინა და სხვა საქონელი.

— **მოთხოვნილება.** ფქვილი უმაღლესი და 1 ხარ. პორტლანდის ცემენტი, ნედლი ტყავეულობა, შეეიცარიული ყველი, რკინის მავთული №014, თეთრი ინგლისური თუნუქი, ინგლისური შაბიბახი, ქვის მარილი, ტომრები, ცეილონის ჩაი, გოგირდი, „ბუდდა“, ყუბანის ხორბალი და ადგილობრივი, კარდონი № 60, 70, 80, კანიფოლი და სხვ.

— „ტრიბუნის“ კვირის №-ში ეწერა; შავი ქვის მტვირთავ მუშებისათვის დაწესებულ იქნა 2 კვირის შვებულება უნდა იყოს:—მიეცათ **დამატებითი** ორი კვირის შვებულება.

— **ტფილისის ბაზარზედ** საქონლის ფასი 30 ივლისს: ხორბლეულის ფასები აწეულია 1 და 2-რე ხარისხებისა. შაქრის მაზანდა მტკიცეა; ერბო და კარაქი აწეულია; მანუფაქტურის ბაზარზე განწყობილება გამოცოცხლებულია, დანარჩენებზედ ცვლილება არ მომხდარა.

ეროვნული საკითხი ლენინიზმის სკოლაში*)

ეროვნული საკითხი იმპერიალიზმის პერიოდში.

(გაგრძელება)

დავუბრუნდეთ ეხლა ნამდვილ კოლონიების საკითხს. ამბ. ლენინი თავის წიგნში სწერს: „კოლონიალური პოლიტიკა და იმპერიალიზმი, კაპიტალიზმის უახლეს ფაზისამდეც თვით კაპიტალიზმის გაჩენამდეც არსებობდა“ (გვ. 69). მაგრამ „კაპიტალიზმის წინანდელ სტატიათა კოლონიალური პოლიტიკაც კი—არსებითად განსხვავდება საფინანსო კაპიტალის კოლონიალურ პოლიტიკისაგან“. (გვ. 70).

თუ რას ნიშნავს სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალიზმის კოლონიალური პოლიტიკა, ამის საუცხოვო ნიმუშები მოგვცეს მარქს-ენგელსმა თავიანთ გამოკვლევებსა და წერილებში. მე მოვიყვან აქ ერთ პატარა ნიმუშს ენგელსის წერილიდან. 1856 წ. ენგელსი სწერს მარქსს: „**Ирландию можно считать первой английской колонией, именно такой, которая благодаря своей близости к метрополие управляется все еще по старому. И здесь прекрасно видно, что так называемая свобода английских граждан основана на угнетении колонии... Сколько раз ирландцы пытались достичь чего-нибудь и всякий раз и в политическом, и в промышленном отношении их раздавливали. Подавляя их искуственно, систематически довели их до положения нации оборванцев, специальностью которой стало снабжать Англию, Америку, Австралию и т. д. проститутками, подельщиками, сутенепами, преступниками, жуликами, нищими и другими прохвостами**“. („Письма“ გვ. 170—1). აი საუცხოვო ნიმუში იმისა, თუ რას წარმოადგენდა კოლონია და ეროვნული საკითხი სამრეწველო და სავაჭრო კაპიტალიზმის პერიოდში. ინგლისის გაბატონებულმა ბურჟუაზიამ და ოლიგარხიამ გაფცქვნა ირლანდიის ნაცია ყოველის მხრით; ამიტომ იყო, რომ მარქს-ენგელსი თავის დროზე მთელი თავიანთი ენერგიით იცავდენ ირლანდიის ერის ინტერესებს და მის დამოუკიდებლობას. მაგრამ დღეს არა მარტო ირლანდია, არამედ მთელი მსოფლიოს დიდი უმეტესი ნაციებისა ენგელსის მიერ აწერილ უფრო უარეს მდგომარეობაში არის მოქცეული.

თანამედროვე კაპიტალიზმი, ერთის მხრით, აძლიერებს კოლონიების, ერების დაპყრობის პოლიტიკას, მეორეს მხრით კი, უფრო ინტენსიურსა და მრავალ-ნაირად ახდენს მათს ექსპლოატაციას.

პირველი მომენტის შესახებ ლენინი სწერს: „კოლონიების დაპყრობისაკენ მისწრაფებას აძლიერებს აგრეთვე კაპიტალის გატანის ინტერესები. ეს იმიტომ, რომ კოლონიალურ ბაზარზე ადვილია (ხან და ხან კი მხოლოდ აქ არის შესაძლებელი) კონკურენტის ჩამოშორება მონოპოლისტურ ღონისძიებათა საშუალებით; შესაძლებელია უზრუნველყოფა თავისთვის საქონლის დამზადებისა. სათანადო „კავშირის“ გაბმისა, განმტკიცებისა და სხ. მთელი ის საეკონომიო ზედ-ნაშენი, საფინანსო კაპიტალის საფუძველზე რომ აიგება—მისი პოლიტიკა, მისი იდეოლოგია—აძლიერებს მისწრაფებას კოლონიალურ დაპყრობისადმი“. (გვ. 72).

მეორე მომენტის შესახებ,—კოლონიების და ყველა ჩამორჩენილ ერების ინტენსიური ექსპლოატაციის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი. წინა წერილიდან ჩვენ ნათლად დავინახეთ თუ რაში გამოიხატება და როგორს მომენტებში ეს ექსპლოატაცია თანამედროვე ფინანსიურ კაპიტალიზმის ხანაში. წარმოდგენის შესავსებად ჩვენ მოვიყვანთ ერთს ციტატას კიდევ ამბ. ლენინის წიგნის ფრანგულ და გერმანულ გამოცემისათვის დაწერილს (1920 წ.) წინასიტყვაობიდან:

„...კაპიტალიზმმა გამოჰყო **ერთი მუჭა** (დედამიწის მცხოვრებთა ერთ-მეათედზე ნაკლები, სულ ბევრი და „ბარაქიანი“ გამოანგარიშებით—არა უმეტეს ერთი მეხუთედისა) ყველაზე მდიდარი და უმძლავრესი სახელმწიფოები, რომელნიც სძარცვავენ მთელ ქვეყნიერებას—„კუპონების კრეჭის“ საშუალებით გატანილი კაპიტალის შემოსავალი, ომის წინა დროის ფასებისა და ომის წინა ბურჟუაზიული სტატისტიკის მიხედვით გამოანგარიშებული წელიწადში სულ 8—10 მილიარდ ფრანკს უდრიდა. ეხლა, რასაკვირველია, ხსენებული შემოსავალი ბევრად უფრო მეტია. ცხადია, რომ ამ უშველებელ **ზე-მოგებით** (ზე-მოგების, ვინაიდან ეს იმაზე მეტი მოგებაა, რომელსაც კაპიტალისტები „თავის“ ქვეყნის მუშებს სწუწნიან) **შესაძლებელი** ხდება მუშათა ბელადებისა და მუშათა ზედა-ფენის—მუშათა არისტოკრატიის **მოხყიდვა**.“ (გვ. 9).

ამ ცნობებით ლენინი გვეუბნება, რომ ხუთიოდე დიდი სახელმწიფოს ყოველწლიურად თავიანთ საექსპლოატაციო რაიონებიდან შემოსავალი ჰქონდათ 8—10 მილიარდი ფრანკი და ეს შემოსავალი არის **ზედ-მეტი მოგება** (сверх прибыль); ფაქტიურად ამბ. ლენინი ამბობს იმას, რაც სთქვა რ. ლიუქსემბურგმა თავის წიგნში: კაპიტალს გარდა წარმოების პროცესიდან მიღებული **ზედმეტი ღირებულებისა**,—რომელსაც მუშათა კლასის ექსპლოატაციიდან ითვისებს, აქვს კიდევ **ზედ-მეტი მოგება**, —რომელიც განუვითარებელ ერების სხვა და სხვა ფორმის ექსპლოატაციიდან სდგება, კაპიტალისტური მეურნეობის ტენდენციებისა და იმპერიალისტური პოლიტიკის შინაარსის გამორკვევა ჩვენ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს იმის შესახებ, თუ როგორს როლს თამაშობს ნახევრად-კაპიტალისტური, ნახევრად განუვითარებელი, ჩამორჩენილი ერების სამეურნეო ფორმაციები კაპიტალიზმის განვითარების საქმეში. აქედანვე ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, თუ მსოფლიოს ჩამორჩენილი ქვეყნები როგორ გადაყოფილი იქნება სხვა და სხვა სახის დიდ სახელმწიფოთა შორის. პოლიტიკურად ფინანსიურმა კაპიტალმა და იმპერიალიზმმა უკვე გარკვეული სახე მისცა მსოფლიოს და ფაქტიურად დაუმორჩილა მთელი რიგი ქვეყნების სამეურნეო რაიონები დაწინაურებული კაპიტალის ბატონობას. ამბ. ლენინმა გარკვეული ცხრილი შეიმუშავა ბურჟუაზიულ მეცნიერების წყაროებიდან ჯერ კიდევ 1918 წ. იმის შესახებ, თუ როგორ არის გადაყოფილი დიდ-სახელმწიფოთა შორის მთელი მსოფლიო. ჩვენ აქ მოვიყვანთ ამ ცხრილს, რადგან ამაში არის ჩამარხული თანამედროვე ეროვნულ პრობლემის გასაღები.

დედა მიწის დაყოფა დიდ მიწათ-მფლობელ სახელმწიფოთა შორის (მილიონი კილომეტრი. მილ. მცხოვ.)

	კოლონიები				მეტროპოლიები		სულ	
	1876 წ.		1914 წ.		1914		1914 წ.	
	კვ. კილ.	მცხ.	კვ. კილ.	მცხ.	კვ. კილ.	მცხ.	კვ. კილ.	მცხ.
ინგლისი	22.5	251.5	33.5	393.5	0,3	46,5	33,8	440,0
რუსეთი	17.0	15.9	17.4	33,2	5,4	136,2	22,8	169,4
საფრანგეთი	0,9	6.0	10.6	55,5	0,5	39,6	11,1	96,1
გერმანია	—	—	2.9	12,3	0,5	64,9	3,4	77,2
შეერ. შტატ.	—	—	0,3	9,7	9,4	97,0	9,7	106,7
იაპონია	—	—	0,3	19,2	0.4	53,0	0,7	72,8
სულ 6 დიდი სახელმწიფო	40.4	273.8	65,0	523,4	16,5	437,2	81,5	960,6
დანარჩენ სახელ. (ბელგიის, ჰოლანდიის და სხვ.) კოლონიები			9,9	45,3				
ნახევრად კოლონიები (სპარსეთი, ჩინეთი, ოსმალეთი)			14.5	361,2				
დანარჩენი ქვეყნები			28,0	289,0				
მთლად დედამიწა			133.	1.657,0				

ეს მშრალი ციფრები უფრო მეტს წარმოდგენას გვაძლევენ კაპიტალისტურ მსოფლიოს მდგომარეობის შესახებ, ვიხემ სქელ-ტომიანი წიგნები სხვა ად სხვა ჯურის პასიფისტებისა. აქედან ჩვენ ვტყობილობთ, რომ 1) თანამედროვე კაპიტალიზმის განვითარებამ განსაკუთრებითი სიძლიერით გამოიწვია კოლონიებისადმი ინტერესი და რაღაც ორი ათეული წლის განმავლობაში კოლონიალური ერების რიცხვი ერთნაირად გაიზარდა; 2) მე-XIX-ე საუკუნის დასასრულსა და მეოცეს დასაწყისს მთელი მსოფლიო გადაყოფილი აღმოჩნდა დიდ სახელმწიფოთა შორის სხვა და სხვა სახით (კოლონიები, ნახევრად კოლონიები, გავლენის სფეროები. საერთო რიცხვი რომ ავიღოთ ნახევრად კოლონიებისა და კოლონიების შეადგენს 930 მილიონ მცხოვრებთ, რომელნიც შეადგენენ დაახლოვებით 445 მილიონიან მეტროპოლიის მცხოვრებთა საექსპლოატაციო ობიექტს; 3) ახალგაზრდა კაპიტალისტური სახელმწიფოები (გერმანეთი, ამერიკა, იაპონია) კოლონიების მხრით მეტად ღარიბულ მდგომარეობაში აღმოჩდა; მათი კაპიტალების ინტერესი მოითხოვდა აუცილებლად

ეკონომია ცხოვრება

კითხვა-პასუხი

კითხვა. რა წესით ეძლევა მუშა-მოსამსახურეთ შვებულება.

პასუხი. შრომის კანონებით ყოველ მუშა-მოსამსახურეს—წელიწადში ერგება მორიგი შვებულება ორი კვირის რაოდენობისა. ამის გარდა ჯანმრთელობისათვის მავნე და საშიშ წარმოებებში მომუშავეთათვის კანონი აწესებს ორი კვირის დამატებითი შვებულებას. ასეთი წარმოებების და პროფესიების სია უკვე გამოქვეყნებული იყო. ამასთან მოზარდებს ,და მცირე-წლოვანთ, რომელთაც არ შესრულებიათ 18 წელი წელიწადში ეძლევათ არა ორი კვირის შვებულება, არამედ ერთ თვისა.

—

კითხვა. შეიძლება თუ არა შრომის კანონებით დაწესებულ შვებულების დროის ხანგრძლივობის შემოკლება?

პასუხი. კანონი დაწესებულ შვებულების დროის ხანგრძლივობის შემოკლება არ შეიძლება, გადიდება--კი შესაძლებელია შეთანხმების წესით, კოლექტიური ხელშეკრულებით ან პირადი შეთანხმებით.

—

კითხვა. როდის შეუძლია მუშა-მოსამსახურეს მორიგი შვებულების მიღება?

პასუხი. მორიგი შვებულების მიღება შეუძლიათ მუშა-მოსამსახურეთ მხოლოდ 5 ნახ. თვის განუწყვეტელ მუშაობის შემდეგ, მაგალითად: ვინც მსახურებს 1 იანვრიდან შეუძლია მხოლოთ 15 ივნისიდან მოითხოვოს მორიგი შვებულება წლის დასრულებამდე, ე. ი. ივლისში, აგვისტოში და ასე, თუ რომელ თვეშიც ეხერხება მას. აგრეთვე შვებულებაში წასვლისას მას წინდაწინ უნდა მიეცეს სამუშაო ხელფასი იმ დროის მიხედვით, თუ რამდენი ხნით მიდის შვებულებაში. თუ ორი კვირით მიდის—უნდა მიეცეს ორი კვირის ხელფასი, და თუ ერთი თვით, ერთი თვის ხელფასი.

—

კითხვა. შეიძლება თუ არა მუშა მოსამსახურეს არ მიეცეს მორიგი შვებულება?

პასუხი. არის ისეთი შემთხვევები, როდესაც მომუშავის გაშვება შვებულებაში შეუძლებელია სხვა და სხვა მიზეზების გამო, მაგალითად—მისი სხვა მომუშავით შეცვლის შეუძლებლობა და სხვ. ამ შემთხვევაში დასაშვებია შვებულების მაგივრათ მიეცეს ფულით ჯილდო. უკანასკნელის რაოდენობა განისაზღვრება მისაღებ შვებულების რაოდენობით, მაგ. ორი კვირის შვებულების მაგიერ უნდა მიეცეს ორი კვირის ხელფასი და ასე ხოლო შვებულების ფულადი კონპენსაციით შეცვლა საერთოდ დასაშვებია მხოლოთ უკიდურეს შემთხვევაში და ისიც შემფასებელ-საკონფლიქტო კომისის დადგენილებით დამატებითი შვებულების რომელიც ეძლევა მავნე წარმოებებში მომუშავეთ ფულადი შვებულება კანონით აკრძალულია.

№

ტფილის აღმასკომში

„მგლის თავზე სახარების კითხვა"

ბევრი მოქალაქენი და განსაკუთრებით მუშაები, რომელთაც რასაკვირველია წელიწადში ერთიდელ არ მოუხდებათ სახელმწიფო თუ ქალაქის დაწესებულებებში შეხედვა, რომ გაიგონ თუ რა კეთდება და სრულდება ძთავრობის ამა თუ იმ დადგენილ დეკრეტების მიხედვით, ხშირად გვეკითხებიან: მართალია ბევრს ლაპარაკობენ კომინტერნის ამოცანების შესახებ; კომპარტიის მე-12 ყრილობის დადგენილებაზე, გამოცემულ დეკრეტებზე და სხვა, მაგრამ გვითხარით ღვთის გულისათვის:—ტარდება ყველა ეს დადგენილებები ცხოვრებაში თუ უყურადღებოდ რჩება და რაიმე **დაბრკოლებები ელობება** წინაო.

ცნობის მოყვარე მოქალაქეების და მუშების საყურადღებოდ უნდა განვაცხადოთ, რომ დიახ, დადგა ჟამი, როდესაც ყოველგვარ გაუგებრობას და სიმახინჯეს ბოლო ეღება და თანახმად დეკრეტისა გაეროვნების საქმე, თუმცა მძიმე ტემპით, მაგრამ მაინც კეთდება; მხოლოდ უკანასკნელი ბრძოლა სწარმოებს ძველი, ბიუროკრატიულ ნაშთების წინააღმდეგ, რომელნიც ამ დიდ საქმის გაკეთებას შეგნებულად თუ შეუგნებლად აბრკოლებენ და წინ ეღობებიან.

ამ სტრიქონების დამწერი, ეს ერთი წელიწადია პრიფკავშირთა საბჭოს მიერ მოხსნილია ქარხნის დაზგიდან და მივლინებულია აღმასკომის ერთ-ერთ განყოფილებაში (რასაკვირველია დროებით), როგორც თანამშრომელი და დამხმარე ძალა, როგორც ასეთს, საშუალება მეძლევა ყველა დაწესებულებებში ჭვრეტისა და უნდა თამამად განვაცხადოთ, რომ გაეროვნების საქმე ისე სწრაფად და კარგად არა ტარდება, როგორც ტფილისის აღმასკომში, მაგრამ როგორც მოგეხსენებათ სიმახინჯე ყველგან დათარეშობს და ამის შესახებ გვსურს ორიოდე სიტყვის თქმა.

სულ დიდი ხანი არ არის, რაც აღმასკომთან დაარსდა „ტფილისის აღმასკომის უძრავ ქონებათა სამმართველო" („ტუნი") ეს სამმართველო აერთებს საბჭოთა სახლების, საბინაოს და სადარაბო სექციებს. ამ სამმართველოს გამგეთ დანიშნულია ამხ. იტრიევი და მის თანაშემწეთ სახურია. აი ამ უკანასკნელზე გვინდა რამდენიმე სიტყვის თქმა.

მოქ. სახურიას წასულის შესახებ ჯერ არ ვილაპარაკებთ.

ამას თავის დროზედ აღვნიშნავთ თუ საჭირო დარჩება.

სახურია ქართველია და მას, დაწესებულებათა გაეროვნების პროცესში აღმასკომის ერთ განყოფილებაში მისცეს პასუხისმგებელი თანამდებობა, მაგრამ, როგორც ეტყობა სახურია მას (თანამდებობას) ვერ იყენებს კარგად:—თქვენ ვერა ნახავთ სახურიას ხელიდან გასულ ვერც ერთ ქაღალდს, რომელსაც **რუსულად წარწერილი რეზოლიუცია** არ ედვოს.

სახურია ამას ვერ უარყოფს, ვინაიდან ეს ცოცხალი ფაქტია, მაგრამ ჩვენ გვინდა ვკითხოთ სახურიას:—ემორჩილება თუ არა ის საქართველოს მუშური მთავრობის ბრძანებას და იმ ცირკულიარებს, რომელიც აღმასკომის ყველა განყოფილებებში არა ერთხელ და ორჯელ დაიგზავნა.

მკითხველი ზემო ნათქვამიდან დაინახავს, რომ სახურიასთვის არავითარი [illegible] უფლებათა დადგენილებანი.

სოციალისტურ [illegible] ელსა უფლებას მხოლოდ ერთი [illegible] ჯოზე და ეს მცველი—აწ გამარჯვებული მუშათა კლასია.

მაშ ახსოვდეთ ყველა მახინჯებს, რომ მუშები მათს მოქმედებას ყველგან ფხიზლად ვადევნებთ თვალყურს.

მემარც. ფედერალ. მუშა.

ტფილისი

,,ეროვნული საკითხი"

პატარა შენიშვნა

ბოლო ხანებში რამოდენიმე წერილი დაიბეჭდა მარგანეცის მრეწველობის შესახებ. (იხ. „Заря Востока"-ს ნომრებში წერილები კ. მოდებაძისა და ბოლშევიკის). პირველი მათგანი, როგორც ვიცით, მთავრობის წარმომადგენლათაა მივლინებული საზოგადოება „ჩემო"-სთან და გარდა ამის, როგორც თავისი წარსული მუშაობით და გამოცდილებით, უნდა ჩაითვალოს კითხვასთან ახლო მდგომ პიროვნებათ. ხოლო მეორე ავტორის შესახებ ვერაფერს ვიტყვით.

სიმპტომატიური აღნიშნულ წერილებში ის არის, რომ პირველი მათგანი ინგლისურ გირვანქების ჩემოსთვის შექმნილ ჩვენში არა ნორმალურ კურსში ხედავს მრეწველობის არსებულ და მომავალ უბედურებას, ხოლო მეორე წინააღმდეგ. გაჩოდის რა პირველ მოთხოვნილებათა საგნების ფასებიდან, ამტკიცებს—შესყიდვითი ღირებულება გირვანქებისა, მიუხედავათ მათი კურსის დაქვეითებისა ამ ჟამათ მეტია, ვიდრე უწინ იყო. აქედან შედეგი, მიზეზები მრეწველობის დაცემისა უნდა ვეძიოთ სხვაგან.

წამოყენებულ დებულების შესაფასებლათ ზედმეტი არ იქნება ავალაპარაკოთ ციფრები, რომელნიც ნათელ ჰყოფენ კითხვის ფაქტიურ მხარეს. მაგალითებისათვის ჩვენ ავიღებთ ჩვენი ქვეყნის საშუალო ფასებს არსებულს 1913 წელში: (ფასები აღებულია ფოთის პირობებთან ხელმძღვანელობით, მაგრამ საშუალოო მთელი ტერიტორიისათვის მისაღები).

გირვანქა სტერლინგი 1913 წელში ფასობდა 9. 45 კ.—46 კ.

1. შაქარი ფხვნილი	— გირვანქა	— 12—13	კ.
2. პური წითელი	„	— 3—	„
3. საპონი	„	— 15—	„
4. წუმწუმა	„	— 1 —	„
5. ნავთი	„	— 4—5	„
6. ხორცი	„	— 12—	„
7. ნარმა	„	— 10—12	„
8. პადოში	„	— 80	„

ასე რომ ბაზარზე წვრილათ მუშა კაცს შეეძლო შეეძინა ერთი გირვანქა სტერლინგით.

1. შაქარი ფხვნილი—$\frac{946}{12}$ ან $\frac{946}{13}$=78,8 ან 72,8 გ.

2. პური წითელი — $\frac{946}{3}$ =315 ერთი მეს. გ.

3. საპონი — $\frac{946}{15}$ = 63 — „

4. წუმწუმა — =1000 — „

5. ნავთი $\frac{946}{4}$; $\frac{946}{5}$—236 და ნახ.—189 ერ. მეხ. „

6. ხორცი — $\frac{946}{12}$ — = 78,83 — „

7. ნარმა. $\frac{946}{10}$; $\frac{946}{12}$ — 94,6 — 78,83 არშინი

8. პადოში $\frac{946}{80}$ — 11.825 — გირვანქა.

ეხლა ვნახოთ თუ რამდენი საქონლის შეძენა შეიძლება 6 მანეთათ ოქროთი (უკანასკნელი სიტყვით, რომელიც მოთავსებული იყო ჩვენ გაზეთში 5 მანეთი იხ. საუბარი თუმანიშვილთან), რომლის პარიტეტამდე, დაყვანილია ჩემოსათვის გირვანქები. (ფასები აღებულია საშუალო საბაზრო).

შაქარი ფხვნილი	— 26—26	კაპეიკი		გირვანქა
პური	„ 4	„		„
საპონი	„ 25	„		„
წუმწუმა	„ 2	„		ცალი
ნავთი	„ 6	„		გირვანქა
ნარმა	„ 30	„		არშინი
პადოში	„ 1 მ. 50	კ.	—	გირვანქა
ხორცი	„ 13		—	„

ასე რომ ექვს მანეთ ოქროთი ამ ჟამათ კაცი იყიდის:

1. შაქარს ფხვნილს—$\frac{600}{26}$; $\frac{600}{27}$ — 23—22,2 გირვ.

2. პურს — $\frac{600}{4}$ — 150— „

3. საპონს — $\frac{600}{25}$ — 24 – „

4. წუმწუმას — $\frac{600}{2}$ — 300—350 ცალს

5. ნარმას — $\frac{600}{30}$ — 20 არშინს

6. პადოშს — $\frac{600}{150}$ — 4 გირვანქას

7. ხორცს — $\frac{600}{12}$ — 50 „

ეროვნული საკითხი

,,ერთ-ერთ წყაროს"

ერთ-ერთ წყაროს კაპიტალის დაგროვებისათვის. ამიტომ არის ლიუქსენბურგი რომ ამბობს: „კაპიტალისტური დაგროვება თავისი განვითარებისათვის საჭიროებს არა-კაპიტალისტურ სოციალურ ფორმაციებს და შეუძლია იარსებოს მხოლოდ იმ დრომდე, სანამ ნახულობს ასეთს წრეს". აქედან ლიუქსენბურგი თავისებურ განმარტებას უკეთებს იმპერიალიზმს: „იმპერიალიზმი წარმოადგენს—სწერს ავტორი,—კაპიტალისტური დაგროვების პოლიტიკურ გამოხატულებას მის კონკრეტიულს ბრძოლაში ჯერ კიდევ კონფისკაციის გარეშე დარჩენილ არა-კაპიტალისტურ მსოფლიო წრეებისათვის" (იქ. გვ. 320). ეს დასკვნები ჩვენი ავტორისა ურყევი და სწორია. აქედან ჩვენ ვგებულობთ, რომ ერების ყოველმხრივი ექსპლოატაცია შეადგენს კაპიტალისტური მეურნეობის აუცილებელ ელემენტს.

ასეთსავე დასკვნებს იძლევიან მთელი რიგი ბურჟუაზიული ეკონომისტებისა ინგლისელმა ლიბერალმა **ჰობსონმა** ჯერ კიდევ 1902 წ. გარკვეულენით მოხაზა თავის მეტად სერიოზულ წიგნში („იმპერიალიზმი"), თანამედროვე საერთაშორისო ვითარების ის მომენტი, რომ ჩამორჩენილი ეროვნული ერთეულები თან და თან ხდებიან დაწინაურებულ ერების საექსპლოატაციო ობიექტად. ავტორი სწერდა: „...თეთრი რასები, შექმნიან თავისებურ სახის მსოფლიო არისტოკრატიას, რომელნიც დაყრდნობილნი იქნებიან დაბალი რასების ექსპლოატაციაზე"... (Гобсон: „Империализм" გვ. 57, 1918 წ.) ავტორს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა კავშირის შექმნა შემდეგნაირ შესაძლებლობას უშლის თვალწინ: „იგი (კავშირი) არამც თუ წინ წასწევდა მსოფლიო ცივილიზაციის საქმეს, არამედ წარმოადგენდა დასავლეთის პარაზიტიზმის გიგანტიურ საფრთხეს: გამოიყოფოდა მოწინავე ერებში ჯგუფი მრეწველთა, ოომლის უმაღლესი კლასები მიიღებდენ უზღვავ ხარკს აზიისა და აფრიკიდან. ამ ხარკის საშვალებით ისინი შეინახავდენ მოსამსახურეებისა და მსახურთა დიდ მასებს, რომელნიც იმუშავებდენ არა მასიურ სამიწადმოქმედო და სამრეწველო პროდუქტების შესაქმნელად, არამედ ბატონების პირად სამსახურში, ან მეორე ხარისხოვან სამრეწველო საქმეებში ახალ ფინანსიურ არისტოკრატიის კონტროლის ქვეშ" (იქვე, ამ ლენინის წიგნი—88).

ჰობსონის მოსაზრებანი და დებულებანი ჩვენ გვიხსნიან, რომ დასავლეთ ევროპის კაპიტალისტური განვითარება, იმპერიალიზმი და ერების ყველაფა ფაქტიურად შეჰქმნის **პარაზიტიზმს** და გახოწნილებას: დასავლეთ ევროპის დაწინაურებული ერები სცხოვრობენ ჩამორჩენილი ერებიდან მიღებული ხარკით. აქ არის ჩამარხული აზრი და ტენდენცია თანამედროვე კაპიტალისტური მეურნეობისა.

ესევე მომენტები გვიხსნიან ჩვენ თუ როგორი სახით სდგას თანამედროვე იმპერიალიზმის პერიოდში ეროვნული საკითხი.

რაკი ჩამორჩენილი ერის ექსპლოატაცია შეადგენს კაპიტალისტურ მეურნეობის აუცილებელ პირობას, ამ ერების სრული განთავისუფლება და მათი წარმატებისათვის ურყევი ნიადაგის შექმნა შეუძლებელია კაპიტალისტური მეურნეობის პერიოდში სავსებით.

ამიტომ ჩვენ შეგვიძლია თანამედროვე კაპიტალისტური პირობებისათვის **ერთი მერყევი** დებულება გამოვიტანოთ: როგორც შეუძლებელია მუშათა საკითხის, როგორც უდიდესი სოციალური კითხვის, სავსებით გადაწყვეტა რეფორმებისა და ა. წ. პროგრამა-მინიმუმის საშუალებით, ისე შეუძლებელია ეროვნული კითხვის,--რომელიც ითხოვს ერის განვითარებისა და აღორძინებისათვის მტკიცე საფუძვლების შექმნას,—მხოლოდ პოლიტიკური რეორგანიზაციების გზით გადაწყვეტა, თუ არ მოხდა თვით კაპიტალისტური ტრანსფორმაცია მეურნეობის ახალს სოციალისტურს საფუძვლებზე. ამ დებულებას სავსებით ადასტურებს თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ტენდენციები და იმპერიალისტური პოლიტიკა.

მეორე დებულება: როგორც მუშათა და მთელი მშრომელთა კლასის აჯანყება და ამით მოსპობა ზედმეტი ღირებულების მითვისებისა კაპიტალის მიერ არის ერთ-ერთი გზა კაპიტალიზმის აღმოსაფხვრელად, ისე დაჩაგრულ ერების ამბოხება იმპეროიალიზმის წინააღმდეგ (რასაკვირველია, გარკვეულ ისტორიულ პირობებში) და ამით მოსპობა ზედმეტი—მოგების მითვისებისა იმავე კაპიტალის მიერ ერების ყვლეფის საშუალებით, არის მეორე რადიკალური გზა კაპიტალიზმის კრიზისის შესაქმნელად, მისი დეგრადაციისათვის.

დღევანდელს საერთაშორისო პირობებში, რომელიც შექმნილია კაპიტალისტური მეურნეობისა და იმპერიალისტური პოლიტიკის ათეული წლების მუშაობის წყალობით, ეს ორი მოძრაობა—პროლეტარული და ეროვნულ რევოლიუციონური,—ურთიერთის დამატებას წარმოადგენენ: გამარჯვება პროლეტარული ძოძრაობისა ევროპაში შეუძლებელია, თუ მას არ დაეხმარა ეროვნული მოძრაობა კოლონიებში, მაგრამ თვით კოლონიები ვერ მიაღწევენ სრულს გამარჯვებას, თუ მათ ზურგი არ გაუმაგრა ევროპის პროლეტარიატმა. ამ ორი მოძრაობის შესათანხმებლად და მათი მიზანშეწონილ ამოძრავებისათვის გარკვეული პლატფორმის წამოყენება, აი ძირითადი ამოცანა თანამედროვე საერთაშორისო რევოლიუციისა. ამ ძირითად კითხვებზედ არის დამოკიდებული ეროვნული საკითხის სწორად გადაწყვეტა.

როგორია ამ მხრივ მენშევიკების ეროვნული პოლიტიკა?

ხან დონი.

(შემდეგი იქნება)

შეძენას ახალი შემოსავლიანი საექსპლოატაციო სამეურნეო რაიონებს. ასეთს პირობებში კაპიტალისტურ სახელმწიფოთა პოლიტიკის დღიურ წესრიგში დასდგა მსოფლიოს ხელახალი გადაყოფა იარაღით ხელში, რადგან ახალი მიწები არსად იყო შესაძენად. უმთავრესად ამ გარემოებამ გამოიწვია საერთაშორისო ომი.

საერთაშორისო ომის შემდეგ ზემოდ ნაჩვენები სურათი არსებითად შეიცვალა ზოგიერთ კაპიტალისტთა სასარგებლოდ. მსოფლიოს რუქიდან ამოიშალა ორი დიდი სახელმწიფო, როგორც კოლონიალური და იმპერიალისტური ქვეყნები (რუსეთი, გერმანეთი . მთელი ძალა-უფლება ინგლისის, ამერიკის, იაპონიისა და საფრანგეთის ხელში გადავიდა კაპიტალიზმის ბატონობის რაიონებში და ეს 250 მილიონიანი სახელმწიფოები სცდილობენ მთელი მსოფლიოს მილიარდ სამას მილიონიანი მცხოვრებნი თავიანთ ბატონობას დაუმორჩილონ სხვა და სხვა საშუალებებით. ეს არის „განმათავისუფლებელ" ომის შედეგები. ეს დასკვნებიც ამხანაგ ლენინს ეკუთვნის. (იხ. მისი მოხსენება კომინტერნის II კონგრესზე: „საერთაშორისო მდგომარეობა" გვ. 3—4 *). ასეთს შედეგებს იძლევა კაპიტალისტური განვითარების მკაცრი ლოგიკა და იმპერიალისტური პოლიტიკის შინაარსი. ასეთსავე დასკვნებს უკეთებენ კაპიტალისტურ პოლიტიკის მოღვაწეობას არა მარტო უკიდურესი სოციალისტები და რევოლიუციონერები, არამედ თვით ბურჟუაზიის გულწრფელი იდეოლოგებიც. ისტორიკოსი **დრიო** თავის წიგნში („მე-19-ე საუკ. დამლევის პოლიტიკური და სოციალური პრობლემები)" სხვათა შორის სწერდა შემდეგს: „უკანასკნელ წელთა განმავლობაში მთელი ქვეყნიერების ყველა თავისუფალი მიწები, ჩინეთის გარდა, უკავია ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის სახელმწიფოებს. ამ ნიადაგზე უკვე რამოდენიმე კონფლიქტი და გავლენათა გადანაცვლება მოხდა. ეს მხოლოდ წინამორბედია იმ საშინელ აფეთქებათა, რაიც ახლო მომავალში იქნება. ეს მიტომ, რომ ყველა იძულებულია იჩქაროს: ის ერები, რომელნიც ეხლავე არ უზრუნველყოფენ თავიანთ თავს, ალბად, სამუდამოთ დაჭარგავენ თავის წილს და ვეღარ მიიღებენ მონაწილეობას დედა-მიწის იმ ბუმბერაზულ ექსპლოატაციაში, რომელიც მომავალ (მე-20-ე) საუკუნის ერთი დამახასიათებელი ფაქტაგანი იქნება. აი, რატომ იყო, რომ უკანასკნელ ხანებში მთელი ევროპა და ამერიკა ძაგძაგებდა კოლონიალურ სამფლობელოთა გასაფართოებლად მიმალულ „იმპერიალიზმის" ციებ ცხელებით; აი, რატომ არის ეს „იმპერიალიზმი" მე-19-ე საუკუნის დამლევის ყველაზე დამახასიათებელი თვისება" (ციტატა ამოღებულია ლენინის წიგნიდან—74).

როგორი საერთო დასკვნები შეიძლება ამ მიმოხილვიდან გამოვიტანოთ? თანამედროვე კაპიტალიზმის განვითარებამ, მონოპოლიური ტრესტებისა და სინდიკატების შექმნამ განსაკუთრებული სიძლიერით განავითარა დაწინაურებულ კაპიტალისტურ ქვეყნებისაგან უფრო ჩამორჩენილ ერების ინტენსიური ექსპლოატაცია: ერების ყოველმხრივი ყვლეფა კაპიტალისტური მეურნეობის ერთ-ერთი მთავარი ელემენტი შეიქმნა; კაპიტალიზმმა თავისი განვითარების, ან „კაპიტალის დაგროვების" ერთი შემოსავლიანი წყარო ერების ექსპლოატაციაში ჰოვა. ამ წყაროდან შემოსულ მოგებას ზოგიერთი ეკონომისტები უწოდებენ ზედმეტ—მოგებას, განსხვავებით იმ მოგებისაგან, რომელსაც კაპიტალი ითვისებს წარმოების პროცესიდან პროლეტარიატის ექსპლოატაციის მილებულ ზედმეტ ღირებულების სახით.

როგორ თეორიულ დებულებიდანაც არ უნდა იყოს გამოყვანილი, სრულიად სწორია ის დასკვნა, რომელსაც აკეთებს რ. ლიუქსენბურგი „კაპიტალის დაგროვების" შესახებ თავის მეცნიერულს წიგნში. როგორც უკვე მქონდა ერთ წერილში მოყვანილი, ლიუქსენბურგი ამ წერილში სწერდა: „კაპიტალისტური დაგროვება, როგორც მთლიანი, როგორც კონკრეტიული ისტორიული პროცესი სდგება ორი სხვა და სხვა ნაწილისაგან. ერთი მათგანი სრულდება ზედმეტი ღირებულების წარმოების ადგილას,—ქარხანაში, მაღაროებში, მამულში,—და მსოფლიო ბაზარზე. თუ განვიხილავთ დაგროვებას მხოლოდ ამ მხრით, მაშინ იგი წარმოგვიდგება წმინდა ეკონომიურ პროცესად. მისი მთავარი ფაზები სწარმოებს დაქირავებულ მუშისა და კაპიტალისტის შორის..

კაპიტალის დაგროვების პროცესის მეორე მხარე სწარმოებს კაპიტალსა და არა-კაპიტალისტურ წარმოების ფორმებს შორის. მის სარბიელს წარმოადგენს მთელი მსოფლიო. მეთოდის სახით აქ გაბატონებულია კოლონიალური პოლიტიკა, საერთაშორისო სესხის სისტემა, გავლენათა სფეროებისა და ომის პოლიტიკა"... (Р. Люксембург: Накопление капитала" გვ. 325). როგორც ვხედავთ ლიუქსენბურგის ანალიზით არა-კაპიტალისტური ფორმაციები და ერების ექსპლოატაცია შეადგენს

*) უფრო დაწვრილებით ცნობებისათვის ომის შემდეგ კოლონიების გადაყოფის შესახებ. იხ. დენნის: „Новая Европа" გვ. 143—50.

სამშაბათს, 31 ივლისს, პარტიულ კლუბში

(ლორის მელიქოვის ქ. № 1).

ამხ. სერ. ჩმაღლოგელი

წაიკითხავს საჯარო მოხსენებას შემდეგ თემაზე

ქალის სოციალური მდგომარეობა ისტორიულ წარსულში

მოხსენება იმართება ტფილისის კომიტეტის ქალთა განყოფილების ინიციატივით. დასწრება შეუძლია ყველას. შესვლა უფასოა. დასაწყისი 8 საათზე.

---

8. ნავთს	—	600/6	— 100	გირვანქას

ომამდე გირვანქა სტერლინგის შესყიდვითი საშუალება და ამ ჟამათ 6 მანეთ ოქროსი, არიან შემდეგ პროპორციაში.

1. შაქარი ფხვნილი	—	23/78,0; 22,2/72,8	1:0,29;	1:0,3
2. პური	—	150/315	; 1:0,476	—
3. საპონი	—	24/63	; 1:0,38	—
4. წუმწუმა	—	350/1000	; 1:0,35	—
5. ნავთი	—	100/236,5 ; 100/189,2	; 1:0,427	; 1:0,53
6. ხორცი	—	50/78,83	; 1:0,634	
7. ნარმა	—	20/94,6 ; 20/78,83	: 1:0,21	; 1:0,25
8. პადოში		— 4/11,825	; 1:0,34	

აღნიშნული პროპორციები ნათელ ყოფენ ამხ. ბოლშევიკის დებულებების ღირებულებას. უეჭველათ მხედველობაში მისაღებია ის ფაქტიც, რომ თვით ოქროს შესყიდვითი ღირებულება ამჟამათ მსოფლიო ბაზარზე შეცვლილია 35—40 პროც. მაქსიმალურათ, ომამდე არსებულ ფასებთან შეფარდებით. ამ ფაქტორსაც რომ მივიღებთ მხედველობაში ნათელია მაინც, რომ გირვანქა სტერლინგი „ჩემოს“-თვის შექმნილი კურსით, ყოველივესი აწონ-დაწონით მაინც 1 მეოთხ.—1 მეხუთ. დაბლაა ვიდრე მისი რეალური ღირებულება, გინდათ ვალიუტის შეფარდებით და უფრო მისი საქონლის შეძენითი შესაძლებლობით.

ერთი მთავარი შეცთომა და მიუტევებელიც კიდევ ის არის, რომ მას მაგალითებისათვის აუღია 1918, 1919, 1920 წლები და აქედან აკეთებს დასკვნებს ისეთ დიდ საქმის შესახებ, როგორიც არის ქვითურის მრეწველობის მდგომარეობა. ნუ თუ აღნიშნული წლები ეკონომიურ აფორიაქების და მოუწესრიგებლობისა შეიძლება კაცმა მიიღოს დასაყრდნობ წლებად? რატომ მაშინ აღნიშნული ავტორი არ იღებს იმ საერთო პირობებსაც და განსაკუთრებით რუსეთ-საქართველოსას, რომელნიც ცხად ყოფენ მათი დებულების ღირებულებას? თუ კი ყოფილა შემთხვევები, რომ 1918 თუ 1919 წლებში ფუთი ფქვილი საქართველოში უყიდიათ 10—15 შილინგათ და მეტად, ნუ თუ ეს სიმპტომატიური და განსაკუთრებითი პირობების ბრალი არ არის? და თუ ეს ასეა, მაშ რა ღირებულების არის საერთაშორისო ბაზარზე დამოკიდებული მრეწველობის საქმის და მისი პირობების შეფასებისათვის აღება იმ ხანისა, რომელსაც ეყრდნობა ამხ. ბოლშევიკი?

ყურადსაღებია ამ კითხვის გადაჭრის დროს, ყურადღება მიექცეს იმ მასალებსაც, რომელნიც გამოქვეყნებული იყო საზოგადოება „ჩემო“-ს უკანასკნელ საჯარო სხდომაზე.

ვეთანხმებით, რა მთავარში ამხ. მოდებაძეს (გირვანქების საკითხში), არ შეგვიძლია მთელი უბედურება საკითხისა მარტო აღნიშნულ ფაქტზე გადავიტანოთ. არიან სხვა მხარეებიც, რომელნიც მოითხოვენ სერიოზულ მსჯელობას.

კითხვა ფრიად სერიოზულია ჩვენი ქვეყნის და მთელი ფედერაციის მუშათა კლასისათვის. იგი მოითხოვს ობიექტიურ მსჯელობას, არსებულის და მომავალ პერსპექტივების შეფასებას.

ის არა ჩვეულებრივი მაღალი ფასები, რომელიც არის დღეს მარგანეცზე მსოფლიოში უნდა ჩავთვალოთ როგორც არა მუდმივი. ასეთს ფასებს მარგანეცის ექსპორტის საქმეს ქონია და ექნება დროული ხასიათი. ყველას ახსოვს პერიოდულად ფასების ზრდა და დაცემა. ასეთ მოვლენას ეხლაც უნდა მოველოდეთ.

თუ ომის შემდეგ იმპერიალისტური სახელმწიფოები მარგანეცით დაიმშენ, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ არ შექმნიან ეხლა მარაგს, რის შემდეგ მოთხოვნილება და მასთან ფასებიც დაიწევენ.

გვახსოვდეს—გვიახლოვდება ზამთარი, რომლის პერიოდში როგორც ფრახტი იწევს საერთოთ, ისე ადგილებზე მიწოდების საქმეც ძნელდება, რაც აძვირებს საქონლის ხარჯებს...

ბევრი დეფექტებია „ჩემო“-ს მუშაობაშიც, რომელსაც უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება. ვაჭრობის კომისიონური სისტემა, დატვირთვის საქმე, მაღაროების დამუშავება, მომუშავების შერჩევა და ის დიდი ხარჯები, რომელიც უჯდება „ჩემო“-ს, საქმის ტეხნიკური მხარე მოითხოვენ სერიოზულ შეფასებას.

კითხვის ობიექტიური გარჩევა, აი მთავარი რა უნდა გვაინტერესებდეს აღნიშნულ საკითხში.

ს. ნოდია.

ჩრდილოეთიდან

წერილი წაღვერიდან

ხუთშაბათს, ივლისის 26-ს აკაკი ფალავას სტუდიამ წაღვერის ჩვეულებრივი მყუდროება დაარღვია და ერთგვარი გამოფენა მოახდინა თავის ახალგაზრდა ძალებისა.

საღამოს შინაარსი ნაწილობრივ განმეორება იყო, ამას წინად ტფილისში გამართულ საღამოსი. პირველად გაითამაშეს მოპასანიდან გადმოკეთებული ერთ მოქმედებიანი პიესა, რომელშიაც უნაკლულონი იყვნენ: დოლიძის ასული და ვასო გოძიაშვილი. მეორე განყოფილებაში იყო დეკლარაცია, მუსიკა და ცეკვა.

ამ განყოფილებაში მონაწილეობდნენ სტუდიელები: მრევლიშვილი, წულუკიძე, ციხისთავი, გოძიაშვილი, სოსლანი და მურღულია; მონაწილეობდნენ აგრედვე არა სტუდიელები, მომღერალი ქალი ბაღდანოვისა და ვაშაკიძე, რომელმაც მოხდენილად იცეკვა „ნაურული“, ხოლო პირველი ცეკვა კი მეტად გაჭიანურებული გამოდგა, უვაოიაცხ.

ლექსთა თქმაში ჩვენ მოგვეწონა ვასო გიძიაშვილი და შალვა სოსლანი, შ. სოსლანმა უნაზესი გრძნობით წარმოსთქვა რამდენიმე ლექსი. ვასო გოძიაშვილი კარგი დეკლამატოროა უთუოდ და ჟესტიკულაციის სიმრავლეს რომ ცოტათი შეანელებდეს უფრო უკეთესი იქნებოდა.

მურღულია თუმცა არაჩვეულებრივ ექსტაზით კითხულობდა „იულიოს კეისრიდან“, მაგრამ შექსპირის მონოლოგს უფრო მეტი სიდარბაისლე სჭირია. წულუკიძის ასული ამ საღამოს მოისუსტებდა ლექსს,—არ ვიცი რა მოსაზრებით,—ბოლო მოაგლიჯა და კითხულობდა აჩქარებით: ჩვენ მოვისმინეთ მისგან ვიქტორიას მონოლოგი და უფრო მეტი შთაბეჭდილებით გამოვედით თეატრიდან ციხისთავმა ორი ლექსი წარმოსთქვა ბალმონტის „მე მსურს“ და მარიჯანის „ანდერძი“.

ამ საღამოს ლამაზ დისონანსად შეიძლება ჩაითვალოს ბერიაშვილის, კრუზოს, ვაშაკიძის ცეკვა და ბაღდასაროვის სიმღერა, რომელმაც რამდენიმე გამოურკვეველი ტაში მიიღო.

მეორე განყოფილებაში წარმოდგენილ იქმნა შარჟი „ჰამლეტ ბურგი“ და აკროპატიული ნომრები.

„ჰამლეტბურგში“ მონაწილეობდნენ ყველა სტუდიელი: მაღლაკელიძე (ჰამლეტ), გოძიაშვილი (პოლონიუსი), მრევლიშვილი (ოფელია), ჰ. კანდელაკი (აჩრდილი), ციცაგი (ჰორაკი) ავალიანი (დედოფალი) სოსლაანი (ლაერტ).

აკრობატიულ ნომრების შესასრულებლად სტუდიელების გარდა სცენაზე გამოჩნდნენ წაღვერის „მეფეხბურთენიც“: არჩილ ხუსკივაძე და ლეონიკო ხოტივარი, რომლებმაც პირნათლად შეასრულეს დაკისრებული მოვალეობა.

საღამოს ბალხი ბევრი დაესწრო და უფრო კმაყოფილი დაიშლებოდა, რომ უადგილო აუქციონით პროგრამა არ გაეჭიანურებინათ.

—

ფასები სანოვაგეზე წაღვერში დღითი დღე მატულობს, რაც დამოკიდებულია ვაჭრის სურვილზედ. ამ წერილს ვწერ 29 ივლისს და დღეს სანოვაგის ფასები ასეთია: პური 125—150, კარაქი—1,100, რძე (ბოთლი) 300, კვერცხი—45, ყველი—300, თაფლი—800, ხორცი ძროხისა—350—400.

—

წაღვერში, როგორც ყოველთვის, ხელმოკლე ხალხს (ხელოვანთ, მასწავლებლებს, სტუდენტებს და სხვ.) სადილს აძლევს ელისაბედ მღებრიშვილისა (აწ კუკულაძისა). წელს 25 წელი შესრულდა

ხელოვნება

— **ახალი წრე.** (ყოფილი კრუჟოკი) დღეს 31 ივლისს ქართველ მსახიობთა კოლექტივის მიერ წარმოდგენილი იქნება ბეორედ მხიარული ფრანგული კომედია ნათლული 3 მოქმ. გენეკენისა თარგმანი ი. ბარველისა. მონაწილეობას იღებენ კოლექტივის საუკეთესო ძალები. ეს პიესა პარიზის თეატრებში ერთი სეზონის განმავლობაში დაიდგა 400 ჯერ რომელსაც აუარებელი საზოგადოება ესწრებოდა. პიესას სდგამს ივ. ბარველი. დასაწყისი 9 ნახ. საათზედ.

ვინ არის „ინტერნაციონალის“ ავტორი?

ჟურნალ „კრასნაია პანორამა“-ში მოთავსებულია საინტერესო ცნობა ჰიმნი „ინტერნაციონალის“ ავტორის შესახებ. ჟურნალის ცნობით, ოცი წლის განმავლობაში სწარმოებდა პარიზში სასამართლოს პროცესი, რომ გამოერკვიათ თუ ვინ არის „ინტერნაციონალის“ ავტორი. ეს პროცესი მხოლოდ ახლახან დამთავრდა და სასამართლოს უცვნია ავტორად მუშა-კომპოზიტორი პიერ დეგეიტერი.

გაზეთ „ჰუმანიტეს“ კორესპონდენტის გადმოცემით, რომელსაც სასამართლოს პროცესის გათავების შემდეგ უნახავს დეგეიტერი, „ინტერნაციონალის“ ავტორს არ სცოდნებია ამ უკანასკნელ დროამდი, რომ მის მიერ შექმნილი „ინტერნაციონალი“ გახდა საბჭოთა რესპუბლიკების ოფიციალურ ჰიმნათ. ამ ცნობას მოხუცი ძალიან გაუხარებია.

პიერ დეგეიტერი დაბადებულია 1848 წელს ქალაქ განში. 1858 წელს ის მამასთან ერთად გადასახლებულა ქ. ლილში. მამა მისი იყო უბრალო მუშა და მას ეძლეოდა დღეში 50 სანტიმი. ასეთი შემოსავალი მის ოჯახს, რომელიც შესდგებოდა 8 პატარა ბავშისაგან, არ ყოფნიდა და ნახევარჯერ მშიერნი იყვნენ.

დეგეიტერი იძულებული იყო მუშაობა დაეწყო 8 წლიდან. 16 წლამდე ის მუშაობდა, როგორც შეგირდი, სართავ სახელოსნოში. შემდეგ ისწავლა დურგლის ხელობა და ხატვა. მიუხედავათ 14 საათიან სამუშაო დღისა, დეგეიტერი ეწევოდა თვითგანვითარებას. მუშაობიდან თავისუფალ დროს კითხვას ანდომებდა. ყველაზე უფრო ის მიიზიდა მუსიკამ. ის შეუდგა მუსიკის შესწავლას ჯერ თავისით, შემდეგ კი ლილის კონსერვატორიაში დაიწყო სიარული. ის უკრავდა რამოდენიმე ინსტრუმენტზე და მღეროდა. არც ერთი მუშათა კონცერტი არ ჩატარებულა ისე, რომ დეგეიტერს მონაწილეობა არ მიეღო. ის ფრიად პოპულიალური შეიქნა. 1888 წელს, როცა ლილის სოციალისტებმა მოაწყვეს მომღერალთა გუნდი „მშრომელთა ლიგა“, ხელმძღვანელათ მიიწვიეს დეგეიტერი. ამავე დროს ის ეცნობოდა პოტიეს რევოლიუციონურ სიმღერებს, რამაც მიიყვანა იმ აზრამდე, რომ საჭიროა სპეციალური მუშათა ჰიმნის შექმნა. იმავე წლის ბოლოში მან დასწერა „ინტერნაციონალი“. ჯერ ის დაწერილი იყო ერთი ხმისათვის და პირველი იმ სიმღერის შემსრულებელი იყო მისი ძმა ადოლფი. შემდეგ ეს სიმღერა შეისწავლა „მშრომელთა ლიგა“-ს გუნდმა, რომელიც ამ სიმღერით გამოვიდა პირველ რევოლიუციონერ ამხანაგს სრულიადაც არ შეეხება, ის ცილისწამება, რომელიც ნას [illegible] ზოგიერთმა „ბუფეტჩიკმა“.

რაშიდ ვარდანოღლი.

სად. შორაპანში. 29 [illegible] მუშათა კლუბში გააკეთა [illegible] მოძმემ სპარსელმა ქართველმა, სეიფოლა [illegible]ნმა, რომლის მოხსენებიდანაც ბევრი ახალი გავიგეთ ჩვენ ძმებ სპარსელ ქართველებზედ, ჩვენ მწუხარებით აგვევსო გული, რომ დღესვე სასწრაფო ზომების მიღება არ შეგვიძლია ჩვენ ძმებზედ. მაგრამ იმედი გვაქ ყველა დაბრკოლებანი გადალახული იქნება და, ადრე თუ გვიან, ჩვენი ძმები სპარსელი ქართველები რომლებიც ერთ დროს თავისი სამშობლოდან ძალადობით იყვენ გადასახლებული, თავისავე სამშობლოში—საქართველოში იქნებიან დაბრუნებულნი და ჩვენთან ერთად შეუდგებიან საყვარელ სამშობლოს—საქართველოს აყვავებას.

გაუმარჯოს ჩვენ მოძმე სპარსელ ქართველებს, გაუმარჯოს მათ სურვილებს.

ვ. მანჯავიძე.

წერილები რედაქციის მიმართ

თქვენი გაზეთის 53ე ნომერში იყო მოთავსებული ცნობა მოქ. დ. ქებაძისა (მეც მათქმევინეთ). ცნობა აღსავსეა ინსინუაციით და ცრუ ცნობებით ჩემს შესახებ.

მოქ. ქებაძის წერილის მიზანი და ყველა მისი ხრიკები ჩემს წინააღმდეგ, ადვილათ გასაგები შეიქნება, თუ სახეში ვიქონიეთ, რომ ჩემი ჩამოსვლა და მოლაპარაკება საკურორტო გამგეობასთან, რომ მომენიჭოს მე მონოპოლიური უფლება ბორჯომის წყლის გავრცელებისა, ემუქრება მოქ. ქებაძის მატერიალურ ინტერესებს, როგორც ყოფილი კონტრაგენტის.

არა მსურს რა ჩავება მოქ. ქებაძესთან პოლემიკაში, ვგონებ რომ იმ საკითხს, ჰქონდა თუ არა ადგილი ამ შემთხვევაში აფეორას, გამოარკვევს არა მოქ. ქებაძის ლიტერატურული გამოსვლები, არამედ მუშათა და გლეხთა ინსპექცია და სასამართლო, სადაც გადაიცემის საქმე.

ვლადიმერ ხომიკ.

ამხანაგო რედაქტორო!

გთხოვ თქვენს პატივცემულ გაზეთში მოათავსოთ შემდეგი განცხადება: მე 1920 წლამდის ვირიცხებოდი ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციაში, მხოლოთ შემდეგ რა დავრწმუნდი მათ შემცდარი გზით სიარულს, ჩამოვშორდი სრულიად ამ ორგანიზაციას და დავრჩი უპარტიოთ. მაგრამ სამი წლის დაკვირვებამ დამარწმუნა, რომ ძემარცხენე სოც.-ფედერალისტთა პარტია არის ნამდვილი მტკიცე დამცველი მუშათა და გლეხთა ინტერესების და სწორი გზი აქვს აღებული, როგორც ეროვნების დასაცავათ ისე სოციალიზმისთვის ბრძოლის საწარმოებლად. ამიტომ მსურს ჩავეწერო თქვენს პარტიაში.

სტუდ **დიმიტრი ოსაძე.**

1923 წ. 28 ივლისი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ტირაჟი 12000 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარმართველობის მიერ № 497 სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-სი, კრუზენშტერნის ქუჩ № 4.